საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

რადე გუსტავ

გ. რადე

რადე გუსტავ (1831-1903), ბუნებისმეტყველი და ეთნოგრაფი. წარმოშობით გერმანელი. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა დანციგში (ახლანდ. გდანსკი, პოლონეთი). 1852 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში. 1863 წელს ჩამოვიდა თბილისში, სადაც დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. თავდაპირველად იგი ობსერვატორიის თანამშრომელი იყო, ხოლო 1864 წლიდან რუსეთის მეფისნაცვლის დავალებით შეუდგა კავკასიის კვლევას. ბოტანიკური და ზოოლოგიური კვლევები ჩაატარა ამიერკავკასიის ყველა ნაწილში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის რეგიონებში. 1867 წელს მისი მონაწილეობით ხელმეორედ გაიხსნა კავკასიის მუზეუმი (დაარსდა 1852 წელს თბილისში მწერალ ვ. სოლოგუბის ინიციატივით, დაიხურა 1864 წელს) ეს იყო პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმი რუსეთის იმპერიაში. გ. რადე სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მუზეუმს, რომელიც მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში. გ. რადემ ხელი შეუწყო თბილისის ჩამოყალიბებას კავკასიის სამეცნიერო ცენტრად. დიდია მისი დამსახურება კავკასიის ფიზიკურ–გეოგრაფიული აღმოჩენების სფეროში.

გ. რადე თბილისში გარდაიცვალა.